

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 0 494 00 77 95

N 452
25/08/2016

452-07-3-201608251716



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ხელაძეს

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 23 აგვისტოს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ სხდომა №10.

დანართი: სხდომის ოქმი №10-6 (ექვსი) ფურცელი

პატივისცემით,

ელგუჯა ჩხაიძე

ფრაქციის თავმჯდომარე

ფრაქცია "ლანჩხუთი-ევრო ატლანტიკური მომავლისთვის"

ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ლანჩუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“
სხდომის ოქმი №10

ქ.ლანჩუთი

23.08.2016 წელი

სხდომას ესწრებოდა: ფრაქცია „ლანჩუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ თავმჯდომარე ელგუჯა ჩხაიძე.

ფრაქციის წევრები: გიორგი გოგუაძე, კახაბერ ასკურავა.

მოწვეული პირები: გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი ლევან ჩხაიძე, გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი გიორგი ფაცურია, საკრებულოს აპარატში საორგანიზაციო განყოფილების პრესის წარმომადგენელი მაია კუპატაძე.

ფრაქციის თავმჯდომარემ ელგუჯა ჩხაიძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 იანვრის N8 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი ე.ჩხაიძე/

2. „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 ივნისის N48 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი ე.ჩხაიძე/

3. „ქ. ლანჩუთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ობიექტისათვის ნომრის მინიჭების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი ე.ჩხაიძე/

4. „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მაჩხვარეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ობიექტისათვის ნომრის მინიჭების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი ე.ჩხაიძე/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ობიექტისათვის ნომრის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი ე.ჩხაიძე/

6. სხვადასხვა.

ფრაქციის თავმჯდომარე ელგუჯა ჩხაიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი

დღის წესრიგის პირველ საკითხზე. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 იანვრის N8 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა გიორგი ფაცურამ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების გეგმისათვის ცვლილება განპირობებულია ნუსხასა და გეგმაში ასახული რამოდენიმე ობიექტის პრივატიზირების და რამოდენიმე ობიექტის სარგებლობის უფლებით გაცემასთან დაკავშირებით. ნიგოთის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის აზრის გათვალისწინებით, სარიტუალო დარბაზი ამოღებულ იქნა საპრივატიზაციო ნუსხასა და გეგმიდან, რომელზეც სარგებლობის უფლებით გაცემიდან გამომდინარე გამოცხადდება აუქციონი.

დეპუტატი გიორგი გოგუაძე დაინტერესდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების შედეგად რა რაოდენობის თანხა შევიდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, რაზეც გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა გიორგი ფაცურამ განმარტა, რომ ყოფილი სასტუმროს შენობაში არსებული ოთახი N3-ის რეალიზაციიდან შემოვიდა 7 000 ლარამდე, ხოლო ყოფილი ნავთძიების შენობაში არსებული ოთახი N17-ის პრივატიზირებიდან შემოვიდა დაახლოებით 2 000 ლარამდე. მისი თქმით ჯამში პრივატიზირებული ობიექტებიდან შემოვიდა დაახლოებით 200 000 ლარი.

ფრაქციამ მიიღო გადაწყვეტილება:

განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

ფრაქციის თავმჯდომარე ელგუჯა ჩხაიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 ივნისის N48 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა გიორგი ფაცურამ. მან აღნიშნა, რომ საკრებულოს 2016 წლის 16 ივნისის N48 განკარგულებით დადგენილ იქნა საარჩევნო-სააგიტაციო მასალების გამოფენის ადგილები. ცვლილება განპირობებულია აღნიშნული საარჩევნო-სააგიტაციო

მასალების ზომების განსაზღვრის მიზნით. საარჩევნო სუბიექტის მიერ განსაზღვრულ ადგილებში გამოფენილი საარჩევნო ბანერის სიგრძე არ უნდა აღემატებოდეს 60 სმ-ეს, ხოლო სიგანე 42 სმ-ეს. სკვერებში არსებულ მწვანე ნარგავებზე მაქსიმალურ რაოდენობად თითოეული საარჩევნო სუბიექტისათვის განსაზღვრული იქნეს ერთი პლაკატი ერთ ნარგავზე. ასევე ერთი პლაკატი ერთი სუბიექტისთვის განათების ბოძზე. რაც შეიძლება მოსაცდელებს, მისი თქმით განისაზღვროს არაუმეტეს ორი ცალისა ერთი საარჩევნო სუბიექტისთვის.

ფრაქციამ მიიღო გადაწყვეტილება:

განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

ფრაქციის თავმჯდომარე ელგუჯა ჩხაიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხზე ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ობიექტისათვის ნომრის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა ლევან ჩხაიძემ. მან აღნიშნა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შემოსულია ქ. თბილისში მცხოვრებ მოქალაქე თეიმურაზ გოგიას განცხადება (N3955 25.07.2016) რომელიც ითხოვს ქ. ლანჩხუთში თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 27.06.54.354) მიენიჭოს მისამართი. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ დათვალიერებული იქნა ობიექტი ადგილზე. მიწის ნაკვეთი მდებარეობს ნ. ჟორდანიას ქ. N35-ის მიმდებარედ. აღნიშნულ სამსახურს მიაჩნია, რომ მოქალაქე თეიმურაზ გოგიას საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს მიენიჭოს მისამართი ნომრით ნ. ჟორდანიას ქ. N33.

დეპუტატმა გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ობიექტებისათვის ნომრის მინიჭება არის საჯარო რეესტრის ფუნქცია და არა საკრებულოს. ის დაინტერესდა რატომ ხდება ჯერ კიდევ საკრებულოს მიერ ობიექტისათვის ნომრის მინიჭება, რაზეც ლევან ჩხაიძემ აღნიშნა, რომ სექტემბრიდან გადადის საჯარო რეესტრის ფუნქციებში.

ფრაქციამ მიიღო გადაწყვეტილება:

განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

ფრაქციის თავმჯდომარე ელგუჯა ჩხაიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მახვიარეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ობიექტისათვის ნომრის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა ლევან ჩხაიძემ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შემოსულია მახვიარეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ მოქალაქე ნუგზარ იმნაძის განცხადება (N3862 19.07.2016) რომელიც ითხოვს მახვიარეთის ადმინისტრაციულ ერთეულში თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 27.07.41.090) მიენიჭოს მისამართი. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ დათვალიერებული იქნა ობიექტი ადგილზე. მიწის ნაკვეთი მდებარეობს იოანე ნათლისმცემლის ქ. N1-ის მიმდებარედ. აღნიშნულ სამსახურს მიაჩნია, რომ მოქალაქე ნუგზარ

იმნადის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს მიენიჭოს მისამართი ნომრით იოანე ნათლისმცემლის ქ. N1^ბ

ფრაქციამ მიიღო გადაწყვეტილება:

განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

ფრაქციის თავმჯდომარე ელგუჯა ჩხაიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ობიექტისათვის ნომრის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა ლევან ჩხაიძემ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შემოსულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ლანჩხუთის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის უფროსის სოფიკო სარჯველაძის წერილი (N 11/208354 08.08.2016) რომელიც გვთხოვს დახმარებას მოქალაქე რუსუდან კიკვაძე-ფირცხალაიშვილის (პ/ნ26001011740) მისამართის დაზუსტებასთან დაკავშირებით. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურისა და შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის მიერ ჩატარებული მოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ დამისამართების დროს მოქალაქე რუსუდან კიკვაძე-ფირცხალაიშვილს შეცდომით მიენიჭა მისამართი ნიგოითის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ნიგოითში. ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ მოქალაქე რუსუდან კიკვაძე-ფირცხალაიშვილის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს (ს/კ27.05.44.060) მიენიჭოს მისამართი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელი ზემო შუხუთი ლელოს ქუჩა N 3ა (N1 ქუჩა N3ა).

ფრაქციამ მიიღო გადაწყვეტილება:

განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

ფრაქციის თავმჯდომარე ელგუჯა ჩხაიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.

სხვადასხვა

დეპუტატმა კახაბერ ასკურავამ აღნიშნა, რომ ჩოჩხათის გზის სამუშაოების დათვალიერებისას აღმოჩენილი იქნა რიგი ხარვეზები. იგი დაინტერესდა როდის მოხდება აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრა, რაზეც ლევან ჩხაიძემ აღნიშნა, რომ ერთ კვირაში დაიწყება ხარვეზების აღმოფხვრის სამუშაოები, პროექტი გარდამავალია და მომავალ წელს დასრულდება.

ფრაქციის თავმჯდომარემ ელგუჯა ჩხაიძემ აღნიშნა, რომ მისთვის გაუგებარია რითია განსაკუთრებული და სტრატეგიული ჯუნეწერი, ვინაიდან ჯუნეწერსა და ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში იგივე თანხა გამოყო მუნიციპალიტეტმა, მაშინ როცა ჩიბათის ადმინისტრაციული ერთეული ბევრად დიდია.

დეპუტატმა კახაბერ ასკურავამ აღნიშნა, რომ ფრაქციის მიერ მიწერილი იქნა წერილი გამგეობის მისამართით თუ როგორ მოხდა სტიქიის სალიკვიდაციოდ მთავრობის განკარგულებით ლანჩხუთისთვის გამოყოფილი 850 000 ლარის გადანაწილება, მაგრამ პასუხი ჯერ კიდევ არ მიუღია ფრაქციას მიუხედავად იმისა ათდღიანი ვადა ამოწურულია. დეპუტატ კახაბერ ასკურავას განმარტებით ნიგოითის ადმინისტრაციულ ერთეულში და ქ. ლანჩხუთის

ტერიტორიაზე არ მომხდარა სტიქია, მაგრამ მიუხედავად ამისა თანხა მაინც გამოყო

ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმა, რაზეც ლევან ჩხაიძემ აღნიშნა, რომ სტიქიის შედეგად დაზიანდა ნაპირსამაგრები და აღნიშნული თანხით ხდება აღდგენა.

დეპუტატმა ელგუჯა ჩხაიძემ აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ხშირად აყენებს საკრებულოს სხდომებზე ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში წყლის პრობლემის საკითხს, კვლავ მოუგვარებელია ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ.

დეპუტატი კახაბერ ასკურავა დაინტერესდა თუ როდის მოხდება ნიგოთის ადმინისტრაციული ერთეულის გაზიფიცირება?

ლევან ჩხაიძემ აღნიშნა, რომ განკარგულება გამოცემულია და დაიწყება დაპროექტება.

დეპუტატმა კახაბერ ასკურავამ აღნიშნა, რომ შუხუთიდან ვერ მოხერხდება გაზიფიცირების გაგრძელება, ვინაიდან წნევა არ იქნება საკმარისი. უნდა მოხდეს ჭყონაგორაში წნევის დამწვევის დამონტაჟება საიდანაც მოხდება ნიგოთის ადმინისტრაციული ერთეულის გაზიფიცირება, მაგრამ დეპუტატის თქმით სოკარის წარმომადგენლებმა აღნიშნულის შესახებ არაფერი იციან და ეჭვი აქვს, რომ ადგილობრივი მუნიციპალიტეტი წინასაარჩევნოდ მხოლოდ ქულების დაწერას ცდილობს და რეალურად არც კი აპირებს ნიგოთის ადმინისტრაციული ერთეულის გაზიფიცირებას.

დეპუტატმა კახაბერ ასკურავამ აღნიშნა, რომ მთავრობის განკარგულებაში ოზურგეთს პირდაპირ ევალება დაიწყოს საპროექტო სამუშაოები კონკრეტულ სოფლებში, ხოლო ლანჩხუთის შემთხვევაში გამგეობის თანხმობის შემთხვევაში მოხდეს დაპროექტება. მან ასევე აღნიშნა, რომ მის მიმართ გავრცელდა ბრალდება თითქოსდა პოლიტიკური ნიშნით იყენებს ნიგოთის გაზიფიცირების საკითხს, მაშინ როცა არცერთი საკრებულოს სხდომა არ ჩატარებულა რომ არ აღნიშნა ნიგოთის გაზიფიცირების თაობაზე.

დეპუტატი გიორგი გოგუაძე დაინტერესდა მთავრობა როდის გეგმავს სოფ.ჭალას გაზიფიცირებას, რაზეც ლევან ჩხაიძემ აღნიშნა, რომ მომავალ წელს იგეგმება სოფ. ჭალას გაზიფიცირება.



ამით ფრაქციის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ლანჩხუთი-ევრო ატლანტიკური მომავლისათვის“
თავმჯდომარე:

ელგუჯა ჩხაიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ ლანჩხუთი ევროატლანტიკური
მომავლისათვის" წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

23 აგვისტო 2016 წელი
12.00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ელგუჯა ჩხაიძე	11:30	
2	გიორგი გოგუაძე	11:55	
3	კახაბერ ასკურავა	12:00	